

# IV

## ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2015

### ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაპევვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქადაგი - 80.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უკრედები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უკრედიტული შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უკრედიტული შეცდომა შეცდომით გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეცდომით გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

**ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!**

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შესასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჰერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი გარიანტის დასაწერად.

**გახსოვდეთ:** აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დაგალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშროვმი არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

#### I. የዕቅስቶች ስራውን በጥንት (20 ፊይል)

უურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაანწირეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თო-  
ორეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადაღებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ელენე ყიფიანი დაიბადა 1855 წელს. იგი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი. ელენე ცნობილი იყო მთარგმნელობითი, სამსახიობო, საგამომცემლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. მან განსაკუთრებული დაწყლი შეიტანა ისეთ მნიშვნელოვან საქმეში როგორც თბილისის თეატრალური დასის შექმნაა. ელენეს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მოწინავე საზოგადოება და იმართებოდა წარმოდგენები. მან არაერთ საოჯახო სპექტაკლებში მიიღო მონაწილეობა. ნიჭიერებით გამორჩეული ქალბატონის სცენურმა წარმატებამ ხელი შეუწყო ქართული თეატრის აღორძინებას. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქნა თბილისის თეატრალური დასი რომლის მუდმივი წავრიც თავადვე გახდა.

ელენები უკარიც უგვდებ გიმის გადას. ელენებ ანასტასია თუმანიშვილთან ერთად ჩამოაყალიბეს ქალთა ლიტერატურულ მთარგმნელობითი წრე რომელმაც საინტერესო თარგმანები შეძინა ჩვენს ლიტერატურას. 1872 წელს გამოიცა ქალთა წრის კრებული „თარგმანი სამო საკითხეავთა თხზულებათა“. ელენე აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა კერძოდ მან ფრანგულიდან თარგმნა პიუგოს, მოლიერისა და სხვათა ნაწარმოებები. მისი ინიციატივით ქუთაისში დაფუძნდა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. აღსანიშნავია, რომ ჟურნალში ხდებოდა მხოლოდ ქალთა ნაწარმოების ბეჭდვა. ელენე ყიფიანი იყო ქუთაისის დარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე და ამ კომიტეტის მიერ დაფუძნებული სასწავლებელის ხელმძღვანელი. მას ხშირად გაუმართია წარმოდგენები დარიბ მოსწავლეთათვის. როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა ელენე ჟურადღუბას აქცევდა ქართულ გალობასაც და ცდილობდა ფორტეპიანოზე გადაეტანა ეს პანგები. ელენე ყიფიანი გარდაიცვალა 1890 წელს.

## შავი სამუშაოსათვის

## II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მოზარდს არ შეუძლია საკუთარი მომავლის სწორად განსაზღვრა და ამიტომ გადაწყვეტილებები მის ნაცვლად მშობლებმა უნდა მიიღო.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი ოვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოყალიბეთ ოქენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გამოყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

**გაითვალისწინეთ:** ოუ თქვენი მხჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადაღებით, ნაზრობი არ გასწორდება.

## შავი სამუშაოსათვის

### III. წაიკითხულის გააზრება და წერითი დავალება (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

#### დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ დავით გურამიშვილის ლექსი „ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება“:

1. „დავითიანი ვსოქვი დავით, გურამიშვილმან გვარადო,  
ხილად ვსოქვი სიტყვა დვოისა და მე კაცთა – ნორჩის მგვანადო;  
ცხოვრების წყაროს ვუხსენე ხე ცხოვრებისა დარადო,  
ამად ვსოქვი ჯვარზედ ვნებული, ცრემლნი იდინოთ ლვარადო...“
2. ოდესაც ბრძებინან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და  
ფესვლრმაპყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.  
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა.  
ლექსი რუსოვლისებრ ნათქამი მე სხვისა ვერ ვნახეო, და.
3. ვით მხედარს – ყრმისა მცირისა წერალასა ზედან ჯდომანი  
მიემზავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლდომანი,  
ეგრეთვე შოთა რუსოველსა – ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი,  
ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმზავსო ნდომანი...“
4. მე რუსოველსა ლექსს არ ვუდრი, ვით მარგალიგს – ჩალის ძირსა,  
მაგრამ მიმროთიც კეკლუცნი ტურფად მოიკაზმენ პირსა;  
ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ლვინოდ დირსა,  
დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად სშჭამენ პანტის ჩირსა.
5. ცხენი მარტო მორბენალი მუხლმოკლედიც გამალდების,  
სად მაღალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამალდების.  
თვალად ნასსა ალამაზებს, ვის ლამაზი არ ახლდების,  
ამ წიგნს წიგნად მოიხმარებს, ვინც სხვას წიგნსა ვერ მიხვდების.
6. მე საწუთოობ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად:  
მე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლ-კარ დასამხობლად,  
ამ ლექსს თავი მოვუყარე, საცა მეთქვა თვითო თბლად,  
აგების, რომ ბრძანოს ვინმე სიტყვა ჩემთვის შესანდობლად.
7. მე უშვილომ ეს თბოლი მძლივ გავზარდე დიდის ჭირით:  
რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით.  
მოვავდი, დამრჩა უნათლავი, ვერ შევიძელ მე სიმწირით;  
ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით.
8. ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს თბოლი მამინათლოს;  
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს,  
ან თუ იყოს მატყუვარა, უცადოს, რომ განმიმართლოს,  
სხვასა ნურას მოინდომებს მაზედ მეტსა უსამართლოს.
9. ამად ვიხოტბე, შევკრიბე, ცრუის საწუთოოს ყბედობა,  
მე მე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა.  
ყრმაო, შენ მმობას გენუავი, ასულო, მიყავ შენ დობა,  
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა!
10. ღმერთმან თქვენ, მმანო ცოცხალნო, გიხსნასთ ყოვლისა ჭირითა!  
გარდაგიციოსთ სიცილად, რასაც რომ ღმერთს შესტირითა;  
თქვენ მე ცოდვილს მკვდარს მიბრძანეთ ცხოვნება კაის პირითა,  
აგების ღმერთმან დამისხნას ჯოჯოხეთისა მწვირითა.
11. რაც დამრჩა ვერ ვსოქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა.  
ვერა ვსოქვი, მოცლას ვუცდიდი, ხეტამცა არა მეცადა!  
მესწრაფა სევდის ლახვარი, საკვდავად გულსა მეცა და  
აწ ამას ვდონობ, არ ვიცი, ქვესქნად წავალ თუ მე ცადა!..
12. ფუ შენ, ცრუო საწუთოოვო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი?!  
შენ ყოფილხარ მწარე, შხნაკვი, მე მეგონე ტქბილი ყანდი.  
აქ საკვდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი?  
რატომ აგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შაგწყალდი?!“

**ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)**

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

**(1) 3. რა არის პირველი სტროფის დანიშნულება?**

- ა) ავტორის ვინაობის გამუდაგნება.
- ბ) მეფის პოლიტიკის კრიტიკა.
- გ) ნაწარმოების დამკვეთის დასახელება.
- დ) საკუთარი თავგადასავლის თხრობა.

**(1) 4. ვის (ან რა) იგულისხმება სიტყვებში: „ამად ვსოდგი ჯვარზედ ვნებული, ცრემლნი იდინოთ დვარადო“?**

- ა) დაკარგული სამშობლო.
- ბ) იქსო ქრისტე.
- გ) მონატრებული სატრფო.
- დ) ოჯახური გარემო.

**(1) 5. რის თქმა სურს ავტორს, როცა შოთა რუსთველს უწოდებს „რიტორს“?**

- ა) რუსთველის შემოქმედება განსაკუთრებული სისადავითად გამორჩეული.
- ბ) რუსთველის შემოქმედება საგმირო სულისკვეთებითაა გამორჩეული.
- გ) რუსთველის შემოქმედება სახელმწიფო ეპიტონებითაა გამორჩეული.
- დ) რუსთველის შემოქმედება მხატვრული თხტატობითაა გამორჩეული.

**(1) 6. როგორ აფასებს ავტორი საკუთარ შემოქმედებას III სტროფში?**

- ა) განადიდებს.
- ბ) აკნინებს.
- გ) მარგალიტს უწოდებს.
- დ) მოპარულად მიიჩნევს.

**(1) 7. რუსთველის მიმართ როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს ავტორი IV სტროფში?**

- ა) ამაყობს საკუთარი უპირატესობით.
- ბ) რუსთველს თანასწორად მიიჩნევს.
- გ) აკრიტიკებს რუსთველურ შაირს.
- დ) აღიარებს რუსთველის უპირატესობას.

**(1) 8. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „მე რუსთველსა ლექსს არ ვუდრი, ვით მარგალიტს – ჩალის ძირსა“?**

- ა) ეპითეტი.
- ბ) ჰიპერბოლა.
- გ) გაპიროვნება.
- დ) შედარება.

**(1) 9. რას ნიშნავს „თვალად ნასი“ სტრიქონში: „თვალად ნასსა ალამაზებს, ვის ლამაზი არ ახლდების“?**

- ა) ბედკრულს.
- ბ) ბედნიერს.
- გ) მომხიბვლელს.
- დ) უშნოს.

**(1) 10. ვის (ან რას) გულისხმობს VIII სტროფში ავტორი სიტყვაში „ობოლი“?**

- ა) რუსთველის პოემას.
- ბ) საკუთარ შემოქმედებას.

- გ) მოღალატე სატრფოს.  
 დ) მიტოვებულ სამშობლოს.

(1) 11. **რას შესთხოვს VIII სტროფში ავტორი „ბრძენ კაცს“?**

- ა) წიგნი ფართო საზოგადოებას გააცნოს.  
 ბ) წიგნს შესაფერისი ხოტბა შეასხას.  
 გ) ხელნაწერი ტახტის მემკვიდრეს მიართვას.  
 დ) ნაწარმოებში ხარვეზიანი ადგილები გაუმართოს.

(1) 12. **რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი ტროპულ მეტველებას?**

- ა) „ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა!“  
 ბ) „მე ქე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა“.  
 გ) „ყრმაო, შენ ძმობას გენუკვი, ასულო, მიყავ შენ დობა“.  
 დ) „ამად ვიხოტბე, შევკრიბე, ცრუის საწუთოოს ყბედობა“.

(1) 13. **რისი ეშინა ავტორს X სტროფის მიხედვით?**

- ა) მისი სული სასუფეელში ვერ მოხვდება.  
 ბ) მისი შემოქმედება სამუდამოდ უცნობი დარჩება.  
 გ) სამეფო კარის რისხევა დაატყდება თავს.  
 დ) სამშობლოში დაბრუნებულს ახლობელთაგან არავინ დახვდება.

(1) 14. **ავტორის რა თვისება ჩანს მონაკვეთში: „რაც დამრჩა ვერ ვსთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა?“?**

- ა) სიამაყე.  
 ბ) სიმამაცე.  
 გ) თაგმდაბლობა.  
 დ) მოხერხებულობა.

(1) 15. **ავტორის რა სულიერი განწყობილება ჩანს ბოლო სტროფში?**

- ა) სასოწარკვეთა სატრფოს დაკარგვის გამო.  
 ბ) წუხილი სამშობლოს მდგომარეობის გამო.  
 გ) აღშფოთება წუთისოფლის ვერაგობის გამო.  
 დ) შიში ახლობლის ავადმყოფობის გამო.

(1) 16. **რომელ სტრიქონებში ჩანს კონკრეტული მიზეზი, რომელმაც ავტორის ტრაგიკული განწყობა განაპირობა?**

- ა) „მე საწუთოომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად:  
 ქე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლ-კარ დასამხობლად“.  
 ბ) „ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს;  
 თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს“.  
 გ) „ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და  
 ვესვლრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა“.  
 დ) „ცხენი მარტო მორბენალი მუხლმოკლედიც გამალდების,  
 სად მაღალი არცად იყოს, მუნ დაბალი გამალლდების“.

(1) 17. **რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**

- ა) შემოქმედებითი ცხოვრების.  
 ბ) ღმერთის უარყოფის.  
 გ) საწუთოოს გაუტანლობის.  
 დ) უშვილძიროდ გადაგების.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უკარადლებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწილი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პურიფირაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღესატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იძღვნად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკელებები გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შევი სამუშაოსათვის რეკულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შევად შესრულებული ნაშუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რით არის გამოწეული ავტორის ტრაგიზმი.
- იმსჯელეთ, როგორ აფასებს ავტორი საკუთარ შემოქმედებას (ყურადღება მიაქციეთ რუსთველის მიმართ ავტორის დამოკიდებულებას).
- იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

### დავალება № 2

**უკარადლებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით კლდიაშვილის მოთხოვნიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“:**

მზე კარგად ამოსული იყო, პლატონს რომ გამოედგინა მეორე დღეს. მიიხედ-მოიხედა, ამ ოთახში მასთან მხოლოდ კირილე იწვა ტახტის მეორე ბოლოში, – სხვა არავინ იყო.

გამოდგინებისთანავე გაახსენდა წუხანდელი ამბავი და გული უსიამოგნოდ მოექუმშა. უცბად წამოდგა საწოლიდან, გადაიცვა ახალუხი, მივიდა ფანჯარასთან და ეზოში გადიხედა. იქაურობას არავითარი მიმსგავსება არ ჰქონდა წუხანდელი მასპინძლის ეზო-სახლ-კარობისა. ჯერ აზრად ვერ მოვიდა, რას ნიშნავდა ეგ, მერე კი მიხვდა, რომ უსათუოდ მეზობლისას გადაგვიყვანეს გაზავების შემდეგო. ბუნდად ახსოვდა, რომ ის და კირილე ცხენებზე შესხეს და სადღაც გამოაქანეს ახალ გათენებულზე; ახსოვდა, რომ ჩეუბი მოუხდათ, მაგრამ დაწვრილებით არაფერი აგონდებოდა, იმდენად მთვრალი იყო იმ დროს. ახლა კი გული მოსდიოდა, ბრაზი ერეოდა, რომ ამ გადარეულ კაცს დაუჯერა, მის სიტყვას აჟყვა და ამნაირი სამარცხვინო ამბავი შეემთხვა. რა იყო ამ უცნობ ოჯახში დაუპატიჟებლად ქორწილში მისვლა, ჩეუბი, აყალმაყალი... მათი ასე გამოგდება ეზოს გადმოლმა! აბა ამ სრულიად უცნობ სახლში, ნაჩეუბართ, ნაცემნატყებთ რა უნდოდათ?

– მე ოხრიშვილს, რა მრჯიდა ქორწილში სასიარულოდ?.. რა მექორწილებოდა?! საქმე არ მქონდა მე უპატრონოს, თუ?!.. პმ! თავი რაზე შევირცხინებ?.. სალაპარაკოდ რავა მივეცი წემი თავი ამ სულელთან იმდენ ხალხს!.. რავა არ უნდა მომკლას ჩემთა პატრონმა? რავა არ უნდა მომკლას? რავა ვარ შესაბრალებელი... რაზე ვიმდურები ჩემისთანა ოხერი მამის შეუბრალებლობისათვის! – და ჯავრშემოწოლილი პლატონი ხან დაჯდებოდა, ხან მოუსვენრად დადიოდა ოთახში. მერე, თითქოს რადაც გაახსენდაო, ჩაიცვა წულები, შეიკრა ახალუხი და ჩოხას დაავლო ხე-

ლი. გაშალა – უყურა, უყურა და გულმოსულმა დააბერტყა იატაკზე, ჩოხა სამოთხ ადგილას იყო გასეული.

– შენ კი გაუქრი შენს პატრონს! – წამოიძახა და კირილეს გადახედა.

ამ წამოძახებამ კირილე გამოაღვიძა.

– ადექი, პლატონ? – კირილე ცქიტად წამოჯდა საწოლში.

პლატონმა ხმა არ გასცა.

– ძალიან არ ვსდევით იმ ცინდალას, კოსტა თუ პროსტა! ხა, ხა, ხა! შენ ნუ მომიკვდები, ეყოფა ერთ ხანები.. კაი ხანია, მისი ჯინი მჭირდა და კიდევაც ევისრულე სურვილი, ვიჯერე გული მისი ტყებით!.. ძალიან მარჯვეთ არ ვიყავით?! შენ, შენ? აი და პლატონ!.. მტერს მოხვდა შენი მუშტი! ერთი მეც მომხვდა შეცდომით!.. აქამდისინ არ ვიცოდი, თუ მაგისთანა მწარე ხელის პატრონი იყავი!.. იცოცხლე, იმათ დღეს გვერდები აყვებოდათ!.. ხა, ხა, ხა! – ისე ხალისიანად ამბობდა ამას და თან იცინოდა კირილე, რომ უამისოდაც გაჯავრებულ პლატონს ამით მხოლოდ ჯავრი ემატებოდა უფრო.

მან ვეღარ მოითმინა სიძის ასეთი უდარდელობა და სიტყვა გააწევებინა.

– ახირებულია, ღმერთს ვფიცავარ!.. შენ რა სიკეთე დაგაყარეს... დაიხედე შენს თავზე, წარბი გაქვს გახეხილი!..

– ძალიანაა? – ისე იკითხა კირილემ, ვითომც აქ არაფერიაო.

– გეყოფა!

– არაფერია... ამასაც ვაზღვევინებ, სადაც იქნება... თუ დღესვე არა!..

– შენ, ჩემო ბატონო, როგორც გნებავდეს, ისე ქენი და ერთი ეს ჩოხა გამიკერვინებიე ვისმეს და ჩემს გზას დავადგები!..

– რაგა, ჩოხა შემოგახიერს!.. უყურე იმ ლაწირაკებს!.. სხვა რა შეუძლიათ, დედაკაცებივით იმწამსვე ჩოხაში უნდა გეცენ და ტანისამოსი უნდა შემოგაფხრიწონ... აი მაგათ კი დავასხი თავსლაფი!..

– ბატონო, ერთი შენ ეს სიკეთე მიქენი და რამერიგად გევეტიო...

– ახლავე, ახლავე! გვარიანათაც გვიძინებია! ვჲე, რამდენზე წამოსულა მზე!

კირილე წამოდგა და აჩქარებით ჩაცმა დაიწყო.

– ამ ოხრიშვილებს მარტო ჩოხების ხევა შესძლებიათ! – წამოიძახა მან, ჩოხას რომ ხელი მოჰკიდა. – სულ ერთიანად არ მოუთხლეშიათ კალთა!.. აი, თქვენ კი რა გითხარით, თქვენ კი რა გითხარით!..

დააგლო ხელი ორსავე ჩოხას, გააღო აიგანზე კარი, გაჰყო თავი და დაიძახა:

– ცაციე, ცაციე! – და როცა ამ დაძახილზე აიგანზე გამოირბინა ფეხშიშველა პატარა გოგომ, კირილემ გაუწვდინა ჩოხები და უთხრა: – ბიძიკო, თუ შეიძლება, ეს ჩოხები, რავარც იქნება, ისე გამილამბე... რავარც იქნება!.. დამეში დობეს გამოვედევით და ასეთი უბედურება მოგვივიდა. აბა ჲე, შენს გაზრდას!..

გოგომ გამოართვა ჩოხები და ფეხების ბრაგუნით გადირბინა აიგანი. კირილემ მიხურა კარი. პლატონი წარბებშეკრული აქეთ-იქით დადიოდა. კირილე ატყობდა, რომ ამრეზილი იყო და ხმას აღარ იღებდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ასე მუნჯად ყოფნა ვეღარ შეიძლო კირილემ და წამინდა:

– ახალ ჩოხებს გვიკრავენ, თუ რა დექმართათ ამ ოჯახდაქცეულებს... აწი სადილათაც დაჯდებიან და არ დაგვაგვიანდები!..

ეს ნამეტანი იყო პლატონისათვის: იგი მიუბრუნდა და გაკვირვებით გადახედა კირილეს.

– ღმერთმანი, კაი ძალი დღეა გასული! დროით ჯობია მაინც მისვლა.

– სად, ემაწვილო?

– როგორ თუ სად?.. სადაც წუხელ ვიყავით!..

– მართლა ამბობ მაგას, თუ ხუმრობ?

– მართლა ვამბობ... რა ხუმრობა უნდა! აბა, არ მივიღეთ?.. რა მიზეზია?

– შენ, ჩემო ძმაო, რავარც გნებავდეს, ისე იარე და მე კი შენი მგზავრი აღარ გახლავარ!..

– რა იქნა, შე კაცო?.. რა მოხდა მაგისთანა? გინახავს, რომ ქორწილი იქნება თუ დღეობა, რამე ლაპარაკი არ მოხდეს?.. რა ვუყოთ მერქ?.. მარტო ჩვენს თავს მომხდარა, რაც წუხელ საჭმე მოგვიხდა, თუ როგორაა, ან რა იყო ასეთი რამე?.. სხვას არავის შეხვდომია, თუ?

– შენ, ბატონო, რავარც გნებავდეს და მე კი დრო არ მაქვს...

– დრო არ გაქვს, თვარა გეიქცევიან შენი დედაბრები სადმე!

– გეიქცევიან თუ გაჩერდებიან, ეგ სულ ერთია, მე დროზე უნდა მივბრუნდე სახლში. ასე უთაგბოლოდ ყანქალი არ შემიძლია!..

– შე კაცო, ერთი დღე რა უნდა იყოს! მე თვეობით ვრჩები ხოლმე სახლის გარეთ, მაგრამ, რომ მივბრუნებულვარ სახლში, ყოველთვის ყორიფელი ისე დამხვდომია, როგორც დამიტოვებია!

– კაცია და გუნება!..

ამ ლაპარაკში გოგომ გაკერილი ჩოხებიც შემოუტანა, მერე მოართვა პირსაბანი წყალი ორ-სავეს, სიძე-ცოლისძმას, და მალე ორივე ჩაცმულ-დახურულნი წასასვლელად მზად იყვნენ. კი-რილე ბევრს ეხვეწა შაფათაძისას მიბრუნებულიყვნენ ისევ, მაგრამ პლატონი ვერას გზით ვერ დაიყოლია; ის კი არა, პირდაპირ უთხრა სიძეს, რომ მათი ერთად მგზავრობა, როგორც ეტყო-ბაო, შემდეგში აღარ უნდა იქნეს საქმისათვის სახეირო. ამის გაგონებამ კირილე ძალიან და-აფრთხო, შიშს მიეცა, პლატონი არ გაჯიუტებულიყო და უკან არ გაბრუნებულიყო მისდა თა-ვიდან მოსაცილებლად. სწორედ ამის შიშით კირილემ გადათქვა შაფათაძისას მიბრუნება....

### ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

- (1) 3. **რამ შეაწუხა პლატონი, როცა „წუხანდელი ამბავი“ გაახსენდა?**
  - ა) წინა დამეს დაოვრა და იჩხუბა.
  - ბ) წინა დამეს მიპატიუებაზე უარი თქვა.
  - გ) წინა დამეს სუფრიდან გაიპარა.
  - დ) წინა დამეს ცოლისძმა გაულახეს.
- (2) 4. **რას ნიშნავს „მის სიტყვას აჰყვა“?**
  - ა) გაუბრაზდა.
  - ბ) დაეთანხმა.
  - გ) დაემშვიდობა.
  - დ) შეიბრალა.
- (3) 5. **პლატონ სამანიშვილის რა სულიერი მდგომარეობა ჩანს სიტყვებში: „რა იყო ამ უცნობ ოჯახში დაუპატიუებლად ქორწილში მისვლა...“?**
  - ა) აღტაცება.
  - ბ) კმაყოფვილება.
  - გ) სასოწარკვეთა.
  - დ) სინანული.
- (4) 6. **რატომ წმოიძახა პლატონმა კირილეს მისამართით: „შენ კი გაუქრი შენს პატრონს!“?**
  - ა) პლატონი კირილეს მადლიერი იყო.
  - ბ) პლატონი ჩხუბში კირილემ ჩაითრია.
  - გ) პლატონს კირილეს დანახვამ ოჯახი გაახსენა.
  - დ) პლატონს კირილესთან ძველი მტრობა ჰქონდა.
- (5) 7. **რომელი მხატვრული საშუალებაა „მწარე ხელი“?**
  - ა) ალეგორია.
  - ბ) ალუზია.
  - გ) გაპიროვნება.
  - დ) ეპითეტი.
- (6) 8. **კირილეს რომელ თვისებაზე მიუთითებს ის, რომ იგი ჩხუბის ამბავს „ხალისიანად“ ყვე-ბოდა?**
  - ა) კეთილშობილებაზე.
  - ბ) პატივმოყვარეობაზე.
  - გ) სიმამაცეზე.
  - დ) უდარდელობაზე.
- (7) 9. **კირილეს მიმართ როგორი დამოკიდებულება ჩანს პლატონის სიტყვებში: „შენ რა სიკე-ოე დაგაყარეს...“?**
  - ა) გულგრილობა.
  - ბ) მზრუნველობა.
  - გ) მოწონება.
  - დ) უქმაყოფილება.

- (1) 10. სიტყვებით – „დედაქაცებივით იმწამსვე ჩოხაში უნდა გეცენ“ – კირილეს სურს თავისი  
მოწინააღმდეგების:
- ა) გაბრაზება.
  - ბ) დამცირება.
  - გ) დაწყნარება.
  - დ) წახალისება.
- (1) 11. რაზე მიუთითებს კირილეს სიტყვები: „აწი სადილათაც დაჯდებიან და არ დაგვაგიან-  
დეს“?
- ა) მისოვის მთავარი მასპინძლის პატივისცემაა.
  - ბ) მისოვის მთავარი მოწინააღმდეგესთან შერიგებაა.
  - გ) მისოვის მთავარი პლატონის გაროობაა.
  - დ) მისოვის მთავარი ქეიფი და დროსტარებაა.
- (1) 12. რას მიგვანიშნებს ავტორი პლატონის სიტყვებით: „რავარც გნებავდეს, ისე იარე და მე  
კი შენი მგზავრი აღარ გახლავარ“?
- ა) პლატონს სურს, გზა ქეიფის შემდეგ გააგრძელოს.
  - ბ) პლატონს სურს, კირილე ოჯახში დააბრუნოს.
  - გ) პლატონს სურს, კირილეს დროსტარება აცალოს.
  - დ) პლატონს სურს, კირილეს თავი დააღწიოს.
- (1) 13. რას გამოხატავს პლატონის სიტყვები: „შენ, ბატონო, რავარც გნებავდეს და მე კი დრო  
არ მაქვს“?
- ა) გადაწყვეტილების სიმტკიცეს.
  - ბ) ეჭვიანობის განცდას.
  - გ) ოპტიმისტურ განწყობას.
  - დ) უიმედო მდგომარეობას.
- (1) 14. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: „დრო არ გაქვს, თვარა  
გეიქცევიან შენი დედაბრები სადმე“?
- ა) ალეგორია.
  - ბ) ეპითეტი.
  - გ) ირონია.
  - დ) მეტაფორა.
- (1) 15. პლატონის რომელი თვისება გამოვლინდა იმ საქციელში, კირილეს ხევწნა-მუდარის მიუ-  
ხედავად, მაიც რომ გააგრძელა გზა?
- ა) გულუბრყვილობა.
  - ბ) დაბნეულობა.
  - გ) მიზანდასახულობა.
  - დ) სიმამაცე.
- (1) 16. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს ძირითადი მიზეზი, რომელმაც პლატონ სამანიშვილი  
მძიმე დღეში ჩაგდო?
- ა) „ბრაზი ერეოდა, რომ ამ გადარეულ კაცს დაუჯერა“.
  - ბ) „მტერს მოხვდა შენი მუში! ერთი მეც მომხვდა შეცდომით!..“
  - გ) „სრულიად უცნობ სახლში, ნაჩეუბართ, ნაცემნატყებო რა უნდოდათ?“
  - დ) „სწორედ ამის შიშით კირილემ გადათქვა შაფათაძისას მიბრუნება“.
- (1) 17. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?
- ა) სინანულის.
  - ბ) სიყვარულის.
  - გ) სტუმარმასპინძლობის.
  - დ) ჩხუბის.

## ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

### წერითი დავალების ინსტრუქცია:

უკურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოღიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხებაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალპე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ პლატფორმის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ კირილეს მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**შავი სამუშაოსათვის**

